



ვებგვერდი 16/10/2014

სარეგისტრაციო კოდი

010250040.35.152.016197

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №33

2014 წლის 10 ოქტომბერი

ქ. დუშეთი

„დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 41-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 61-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შეტანილი იქნეს ცვლილება დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N11 დადგენილებით დამტკიცებულ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში. კერძოდ, რეგლამენტის მე-16 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 16. საკრებულოს წევრის (რომელიც არ არის თანამდებობის პირი) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება.

საკრებულოს წევრს (რომელიც არ არის თანამდებობის პირი) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები უნაზღაურდება შემდეგი პრინციპებით:

1. ხარჯების დათვლის პრინციპი:

ა) საკრებულოს, საკრებულოს კომისიების და ფრაქციების სხდომებზე დასასწრებად გაწეული ხარჯების ანაზღაურება ხდება თვეში მაქსიმუმ 10 სხდომაზე დასწრებისათვის, თითოეულზე 40 ლარის ოდენობით. ხარჯების დამადასტურებელ დოკუმენტად ჩაითვლება

საკრებულოს, საკრებულოს კომისიების/ფრაქციების სხდომებში მისი მონაწილეობის ამსახველი ჩანაწერები.

ბ) საკრებულოს წევრს მოსახლეობასთან შეხვედრებისთვის ყოველთვიურად ეძლევა 50 (ორმოცდათი) ლიტრი საწვავი.

2. საკომუნიკაციო ხარჯების დათვლის პრინციპი.

საკომუნიკაციო ხარჯები უნაზღაურდებათ საკრებულოს იმ წევრებს, რომლებიც ჩართული არიან მობილური კავშირის კორპორატიულ ქსელში. ხარჯების გადახდა ხორციელდება ფაქტიური ხარჯის მიხედვით თვეში - 20 ლარის ლიმიტის ფარგლებში.

3. ხარჯების ანაზღაურების წესი

ა) ხარჯების ასანაზღაურებლად საკრებულოს აპარატი ყოველთვიურად ამზადებს ბუღალტერიისათვის წარსადგენ ინფორმაციას საკრებულოს და კომისიების/ფრაქციების სხდომებში საკრებულოს წევრთა მონაწილეობის შესახებ, შესაბამისი ჩანაწერების მიხედვით.

ბ) საკრებულოს წევრის მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება (ზღვრული მოცულობების გათვალისწინებით), განხორციელდება შემდეგი თვის 10 რიცხვამდე.

მუხლი 2.

ძალა დაკარგულად გამოცხადდეს დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 8 მაისის №19 დადგენილება (დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ) (მაცნე 15 05 2013 190250000.35.152.016125)

მუხლი 3.

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.